

## ღვაწლი ერეკლე ტატიშვილისა

საუკუნის დასაწყისის თბილისი... მღელვარე თბილისი, რომელიც მოულოდნელობებით, გამქრალი ოცნებებით და ახლის მოლოდინით არის სავსე.

ახლანდელი ინგოროყვას ქუჩა ოციან წლებში. მაღალი ხეები დღესაც საოცარ სიმყუდროვესა და იდუმალეზას ჰგვრიან მას. ქუჩის ბოლოში - ნაცრისფერი სახლი. წიგნებსა და ნაწერებში ჩაფლული პატარა ოთახი და უზარმაზარი სარკმელი. ოთახი, რომელიც ერთი იშვიათი ადამიანის განცდილით, ნაფიქრალითა თუ ნაოცნებარით იყო სავსე. ადამიანის, რომელსაც ნიკო სამადაშვილმა ასე მიმართა:

*ქვეყნიერებას უცქეროდი ათასნაირად,  
წარმართ თვალებზე ქრისტეს წყევლა გქონდა აკრული,  
მთვარე დაისით გაგიტბია, როგორც დაიარა  
და ანგელოზებს ულანძლიხარ მუხლებდაზრული.  
ბნელ გეთსიმანის ბაღში დიდხანს ტრუბადურობდი  
ღმერთების ჯოგი გოლგოთაზე გელანდებოდა.  
დასწყევლოს ჭირმა, რაღა ნისლებს დაუმეგობრდი  
თუ არ იცოდი, სად ინათლა, სად ბნელდებოდა?*

ეს კაცი ბატონი ერეკლე იყო, ერეკლე (ირაკლი) ტატიშვილი. ევროპამოვლილი, ინგლისსა და გერმანიას, პარიზსა თუ კონსტანტინოპოლში ნახეტილები. ლაიფციგის, პარიზის, ედინბურგის უნივერსიტეტებდამთავრებული. ევროპული ენებისა და ლიტერატურის, საერთაშორისო სამართლის, ბუნებისმეტყველებისა თუ ფილოსოფიის, აღმოსავლეთის დიპლომატიის ისტორიის უბადლო მცოდნე.

ევროპაში როგორ მოხვდა არავინ იცოდა. ათასგვარ ლეგენდებს ჰყვებოდნენ...

ვიღაც ქალი ჰყვარებიაო. აბა ღარიბ სტუდენტს ქალს ვინ გაატანდა. გაგულისებულს დაუტოვებია სამშობლო, თურქეთში გადასულა, იქიდან კი ევროპაში. \_ ჰყვებოდნენ უფრო რომანტიკულად განწყობილნი.

ვიღაცამ ძველისძველ, დაფლეთილ `Петербургские ведомости"-ში სტოლიპინ-ზე თავდასხმის დაკითხვის მასალები ამოქექა, სადაც თავდამსხმელი აცხადებს, რომ მისი იდეური მოძღვარი ვინმე ტატიევი იყო "по кличке Ираклий". ეს ალბათ ბატონი ერეკლე იყო. ამტკიცებდნენ სხვები, რომელთაც მისი ანარქისტული წარსული იცოდნენ.

თვით ერეკლე ტატიშვილის ხელნაწერი ავტობიოგრაფია, რომელიც უნივერსიტეტის არქივში ინახება, შემდეგ ფაქტებს გვაწვდის: დაიბადა გორში. სწავლობდა გორის სასულიერო სემინარიაში. პირველად 1904 წელს გაემგზავრა ლაიფციგს ფილოსოფიისა და იურისპრუდენციის შესასწავლად. მამის გარდაცვალების გამო იძულებული გახდა ორი წლის შემდეგ უკან დაბრუნებულიყო. შემდეგ სწავლას პეტერბურგის უნივერსიტეტში აგრძელებს,

მაგრამ ანარქისტული მოღვაწეობის გამო დააკავებენ და ცხრა თვით პატიმრობას მიუსჯიან. განთავისუფლების შემდეგ ერეკლე ტატიშვილი თურქეთში მიდის, იქიდან კი საფრანგეთში. მონპელიეში სწავლობს იურისპრუდენციას, შემდეგ პარიზის პოლიტიკურ ლონდონსა და ედინბურგში ჟურნალისტიკას შეისწავლისმეცნიერებათა თავისუფალ სკოლას ამთავრებს. საფრანგეთიდან ინგლისს მიემგზავრება და ლონდონსა და ედინბურგში ჟურნალისტიკას შეისწავლის. პირველმა მსოფლიო ომმა ბრიუსელში მოუსწრო, სადაც იგი თედო სახოკიას ბინაში ცხოვრობდა. ქართულ კოლონიასთან ერთად კონსტანტინოპოლს მიემგზავრება, სადაც წმიდა იოსების კოლეჯში იწყებს მუშაობას უცხო ენის მასწავლებლად.



ამ პერიოდის ორი ფოტოსურათი მაგონდება. პირველი ოცი წლის ასაკშია გადაღებული, ლაიფციგში სწავლის პერიოდში. გონიერი და მედგარი გამომეტყველება აქვს, ცოდნასმოწყურებული და შემართული განწყობილება. ამ სურათზე აღბეჭდილ ახალგაზრდას ჯერ არ განუცდია ის ამაოება, რაზეც ასე სულისშემძვრელად მოგვითხრობს წიგნი ეკლესიასტე: `...და გული ჩემი მივეც ხილვად სიბრძნისა და მეცნიერებისა და გულმან ჩემმან იხილა მრავალი, სიბრძნე და მეცნიერება, იგავნი და ხელოვნებანი, ვიცნენ მე, რამეთუ ესეცა არს აღრჩევა სულისა... და რომელმან შეიძინა

მეცნიერება, შეიძინა ღმობა".

მეორე ფოტოზე, რომელიც კონსტანტინოპოლში ცხოვრების პერიოდს განეკუთვნება, ისევ ქედმოუხრელი სიამაყე გეცემა თვალში, ოღონდ ახლა მას ოდნავ სიმკაცრე შერევია და კიდევ იჭვი თუ გულგატეხილობა, ანუ ის ღმობა, რომელიც ზევით ვახსენეთ. ათი წელი ძევს ამ ორ ფოტოს შორის, სწავლისა და ხეტიალის ათი მძიმე წელი.



სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჯერ გორში, შემდეგ კი თბილისში ვაჟთა ქართულ გიმნაზიაში ასწავლიდა უცხო ენებს. თანამშრომლობდა ჟურნალ `ილიონში", რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას რედაქტორობით გამოდიოდა. ამ ჟურნალში დაიბეჭდა ერეკლე ტატიშვილის რამდენიმე მშვენიერი ესე: `კრიშნა", `ფრიდრიჰ ნიცშე". კონსტანტინე გამსახურდიასსავე თაოსნობით გამოცემულ გაზეთში `საქართველოს სამრეკლო" პატარა მოხდენილი წერილია გამოქვეყნებული სათაურით `ეკსტასის!". ჟურნალ `კავკასიონშია" მოთავსებული ედგარ პოს ერთი ნოველის `სიჩუმე" ერეკლე ტატიშვილისეული თარგმანი და ესე `საკია-მუნ", ხოლო გაზეთში `პოეზიის დღე" \_ `Per Aspera ad astra" (`ეკლიანი გზით ვარსკვლავებისაკენ").

1923 წლიდან ერეკლე ტატიშვილი უნივერსიტეტში კითხულობდა საერთაშორისო კერძო და საჯარო სამართლის კურსს. ამასთანავე ბატონი ერეკლე

უცხო ენებსაც ასწავლიდა უნივერსიტეტში. სწორედ იგი იყო უცხო ენების კათედრის დამაარსებელი და მისი პირველი გამგე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია განსაცვიფრებელი მოძღვრული თვისებები ერეკლე ტატიშვილისა, ის დიდი პიროვნული ხიბლი, რომლითაც იგი გავლენას ახდენდა გარშემო მყოფნზე და უპირველეს ყოვლისა თავის მოწაფეებზე. უთუოდ ამით აიხსნება, რომ მის გარშემო სხვადასხვა თაობისა და პროფესიის ახალგაზრდებმა მოიყარეს თავი. ერთნი, რომელთაც გიმნაზიაში ასწავლიდა ბატონი ერეკლე და მეორენი, რომელთაც უნივერსიტეტში გაიცნეს იგი.

ეს ახალგაზრდები იყვნენ მისი მეგობრები. ყოველ შაბათ სადამოს ახალგაზრდებით ივსებოდა პატარა ოთახი. იკრიბებოდნენ და საუბრობდნენ, კამათობდნენ. ბნელი, მყუდრო ქუჩა და გვიან ღამემდე განათებული უზარმაზარი სარკმელი.

ნიკო სამადაშვილი კი ისევ ლექსად კითხულობდა:

„სად დავისვენოთ, მითხარი ძმაო,

როცა ერეკლევ `საგიჟეთია`?!“

და მხოლოდ გვიან, ძალიან გვიან იშლებოდნენ `საგიჟეთის` სტუმრები.

სწორედ ასეთ თავყრილობებზე კითხულობდნენ პირველად თავის ლექსებს ნიკო სამადაშვილი და ქუჩი ძიძიშვილი, მოთხრობებს – ბასილ მელიქიშვილი. თავისი პირველი ლიტერატურული ნაბიჯები აქ გადადგეს ციალა თოფურიძემ, ვახტანგ ჭელიძემ, ოთარ ჩხეიძემ, ნოდარ კაკაბაძემ. მაშინ პირველად დაინტერესდა ჯოისით ნიკო ყიასაშვილი. ბატონი ერეკლეს სახელთან არის დაკავშირებული ალექსანდრე საჯაიას, ალექსანდრე გამყრელიძის, მოსე ქარჩავას პირველი თარგმანები. ბატონი ერეკლეს მოწაფეები იყვნენ აწ განსვენებული მიხეილ კვესელავა, ოთარ ჯინორია...

საკმარისია ადამიანმა თვალი გადაავლოს ვახტანგ ჭელიძის `ლიტერატურულ წერილებში` გამოქვეყნებულ მშვენიერ მოგონებას ერეკლე ტატიშვილზე, რომ წარმოდგენა შეექმნას იმ განუზომელ ღვაწლზე, რომელიც ბატონ ერეკლეს მიუძღვის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სპეციალისტთა არაერთი თაობის აღზრდაში.

\*\*\*

ესეები `ეკსტასის!` და `Per Aspera ad Astra` შემოქმედებითი პროცესის გააზრების ცდაა, იმ მოუხელთებელი და გამოუთქმელი სულიერი მდგომარეობის დახატვის სურვილია, რომელიც მშვენიერს წარმოშობს. ესეც ფორმა ხომ თავისთავად გამორიცხავს არგუმენტირებასა და კატეგორიულობას და ერეკლე ტატიშვილიც მინიშნების, ბოლომდე ართქმის გზას ირჩევს, რადგან როგორც თვითონ წერს: `პოეზია სულიერი რიტმის გაქანდაკებაა, ხოლო სულიერი რიტმის ხორცშესხმა შეუძლებელია. მგოსნის სიტყვა მხოლოდ მის მიერ ნახული სიზმრის მიმგვანებაა და არა პირწავარდნილი სურათი... სიტყვა მხოლოდ ჩრდილია და არა სულიერი მოძრაობის სუბსტანცია, გრამატიკული გამა და არა ემოციური მუსიკის რიტმი`.

მაგრამ რაოდენ დიდიც უნდა იყოს გამოუთქმელის გამოხატვის შეუძლებლობით გამოწვეული უკმარისობის შეგრძნება, სიტყვადქცევის პროცესი გარდაუვალია, ხოლო სიტყვადქცეული აზრი და განცდა ერეკლე ტატიშვილის ხელში იშვიათ მადლს იძენს. ამის დასტურად ერთი ფრაგმენტი იკმარებს ესედან `ექსტასის!`:

*'ექსტასის! \_ ასეთი სახელით მონათლა ღვთაებრივი პლატონის ენამ ადამიანის ემოციური მდგომარეობა.*

*ექსტასის ადამიანის სულის ექსტრადიქციაა. ხორცს გარეშე ნავარდი და განდგომა.*

*შემოქმედებით წამებაში მგოსანი ემოციით არსებობს და მგოსანიც იმას ეწოდება, რომლის სულიც მისი საშუალებებით მარადისობას ეზიარება, დაუსრულებელი ნორმისა და რიცხვთა ემბაზში განსპეტაკება და თავის ინდივიდუალურ რიტმს უნივერსალურ რიტმს დაუკავშირებს. ამას ვუწოდებთ ჩვენ ემოციურ შემეცნებას...*

*პოეტი იმდენად გენიალურია, რამდენადაც მისი ემოციური მეხსიერება ძლიერია და მახვილი".*

ორივე ესეში გამოკრთის განახლებისაკენ ლტოლვა, მისი მოლოდინი. `ხელოვნება ახალი უფკრულებისაკენ მიექანება განახლებისათვის" \_ წერდა ერეკლე ტატიშვილი. ამგვარი პროცესი კი უპირველეს ყოვლისა შინაგანია, სულიერი. ეს თემა უადრესად ორგანულია ბატონი ერეკლეს მთელი მსოფლალთქმისათვის. მის ჩანაწერებში სახარებიდან ამოწერილ ასეთ პასაჟს წავაწყდით: `უკეთუ ვინმე არ იშვეს მეორედ ვერ ხელეწიფების ხილვად სასუფეველი ცათა" (იოანე 2.3).

შემთხვევით არ შეურქმევია ნიკო სამადაშვილს ბატონი ერეკლესათვის კაცი-ფასკუნჯი. ფასკუნჯი ქართული ფენიქსიაო \_ იტყოდა ხოლმე ნიკო სამადაშვილი. ფენიქსი კი ის ფრინველია, რომელიც სიკვდილის მოახლოებას რომ იგრძნობს, დაიფერფლება და ხელახლა აღდგება ფერფლიდან. ეს აზრი მეორდება ნიკო სამადაშვილის მიერ დახატულ პორტრეტში ერეკლე ტატიშვილისა:

*'მე რომ მხატვარი ვიყვე, ფერწერის ოსტატი, შენ პორტრეტს სულ სხვანაირად დავხატავდი, სადაც დაოსდებოდი ჯერ სიცილით, მერე ტირილით, და შემოილივით დიდხანს, დიდხანს იბუზღუნებდი. ეს იქნებოდა ორნახადი ადამიანი, ესე იგი ორჯერ გამოხდილი იმ საარყე ქვაბში, ჩვენ რომ გაჩენასა თუ მოსვლას ვუწოდებთ.*

ალბათ ამგვარი `ორნახადობით" თუ მიიღწევა ის აუმიღვრეველობა, რომელიც დაუნჯებულებიყო მის პიროვნებაში; ის დიდი შინაგანი თავისუფლება, რომელიც უკიდურესი ძალისხმევით მიღწევა და რომლის შერყვნა გარეგან ბედს არ ძალუძს (ციხიდან რომ გამოუშვიათ, „ახლა თავისუფალი ხარო, მითხრეს. ვითომ იქ ნაკლებ თავისუფალი ვიყავი?!" \_ ამას რომ ამბობდა ბატონი ერეკლე პენსნეს მოიხსნიდა, ტუჩებს უცნაურად გაილოკავდა, შეათამაშებდა, დაბრეცდა თუ ჩაიხითხითებდა \_ იგონებენ მისი მოწაფეები. არ ვიცი რა უფრო მეტი იყო ამ ჟესტში სიმწარე, ირონია,

თუ ბედზე მაღლადგომა, ისეთი, რომელზეც შოთა რუსთაველი ასე ბრძანებს: `ვით ზღაპარი ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი"). ვფიქრობ, სწორედ ამ თვისებიდან აღმოცენდა `ეთიკური ჰეროიზმი" (ნოდარ კაკაბაძის სიტყვებია) ბატონი ერეკლეს პიროვნებაში, რომლის წყალობითაც იგი უმძიმეს პირობებშიც კი ახერხებდა შეენარჩუნებინა სიბრძნე, სამართლიანობა და ქედმოუხრელობა.

მარადიული წრებრუნვისა და განახლება-გათავისუფლების მოტივი გასდევს საკია-მუნისა და კრიშნას მოძღვრებათაც, რასაც ბატონმა ერეკლემ ორი მშვენიერი ესე მიუძღვნა. საკია-მუნი და კრიშნა არის ბატონი ერეკლეს ალტერ ეგო.

საკია-მარტვილი `ადამიანის შფოთი სულის სიმბოლოა, ტანჯული სიზიფი, მარადისობის დახშულ კარს რომ გახსნის, საიდუმლოებას ეზიარება და მშვიდობას დაიმკვიდრებს". მისი მიზანია ასწავლოს ადამიანთ სიბრალული და აღზოცოს მათი გამოუთქმელი ტკივილები.

მსგავსია კრიშნას მიზანიც: „ყოველთვის, როცა მიიძინებს სიქველე და უმართლობა თავს წამოჰყოფს, წარმოვშვებ ჩემსავე თავს. კეთილთა ფარად, ბოროტთა თრგუნვად და სიქველის სამკვდროდ წარმოვიშვებ ქვეყანაზე." მაგრამ ამისათვის მსხვერპლია საჭირო და კრიშნაც საკუთარი ნებით ეწირება მსხვერპლად.

ორი მარტვილი - კრიშნა და საკია-მუნი. ორი ჯვარცმული ადამიანი. მართალია კრიშნა ჯვარზე არ გაუკრავთ - მტრის ისარმა მოულო ბოლო, საკია-მუნი-ბუდა კი ბუნებრივი სიკვდილით მიიცვალა, მაგრამ თვით ცხოვრება მათი იყო ჯვარცმა. ტრაგიკული ხომ ადამიანის სულის შინაგანი თვისება უფროა, ვიდრე გარემო-პირობებით განპირობებული რამ. რა ზუსტად დაუნახავს ბატონი ერეკლეს ეს თვისება ნიკო სამადაშვილს:

*ძლივს დარწმუნდები, რომ შენ ჯვარცმაც კი არ გწყალობდა,  
ბედს ნულარ ერჩი, თუ ლოდებმაც ამოიოხრეს,  
იტყვიან: ნეტავ დაგენახათ, როგორ წვალობდა,  
სანამ დარდებმა საცოდავი სულ არ გამოხრეს.*

მართლაც ტრაგედია იყო მისი ცხოვრება, ისეთი ტკივილი, რომელთან შედარებით ჯვარცმაც კი შვებად მოეჩვენებოდა ადამიანს, მაგრამ იგი ხომ სწორედ ამ ტკივილით იყო ბატონი ერეკლე.

ბატონ ერეკლეს სურდა `საკია-მუნისა" და `კრიშნას" სახის ესეები შეექმნა ქრისტეზე, მიტრასა, აპოლონსა და დიონისეზე, რადგან სხვადასხვა რელიგიებში გაბნეული საკრალური ცოდნა ძირებში ერთმანეთს კი არ უარყოფს, არამედ ავსებს. სწორედ ამგვარი ძირების ძიებად გვესახება ბატონი ერეკლეს აზრი, რომ ბუდას ტრანსცენდენტალური სპირიტუალიზმი უცხო არ არის ევროპისათვის, რადგან პითაგორას, ემპიდოკლეს, პლატონისა და ნეოპლატონიკოსთა მოძღვრებანი სულიერ სფეროში ჩადრმავეებით მიღწეული იგივე სიბრძნის განმეორებქაა სხვა სიტყვითა და სხვა სახით. იგივე მოსაზრებაა გამოთქმული `კრიშნას" ფინალშიც:

კრიშნას მოძღვრება უნივერსალური მოძღვრებაა. შეიცავს რელიგიის და საკრალური ფილოსოფიის ორ უმთავრეს პრინციპს – სულის უკვდავებისა და ლოგოსის განკაცების იდეას, რომელიც კაცობრიობას პირველად ინდოეთის მოციქულის პირით ეუწყა და ამერიიდან არაოდეს დაავიწყდება. ყოველთვის, როცა კაცობრიობა იგრძნობს დაცემას, მას მოევლინება მხსნელი – ძე ღვთისა და დაუბრუნებს უკეთურ შვილს მამა-ღმერთს. ყველა ერთი და იგივე მზე ათბობს-ასულდგმულებს და ყველა ტამარში დაიდგამს საკურთხეველს: სპარსეთში – მიტრა; ეგვიპტეში – ჰორუსი; ელლადამი – აპოლონი და დიონისე; იუდეაში – ქრისტე; ინდოეთში არიელთა მიერ ნანახი სიზმრის განმეორება; სხვადასხვა წახნაგებიდან, მაგრამ ერთი და იგივე მაცხოვარი მზისაკენ მიმართული თვალი; ერთი და იგივე ხორცშესხმული, კაცსა და ღმერთს შორის ზავის განმამტკიცებელი სიტყვა, რომელიც ნუგეშსა სცემს ტანძულსა და დავრდომილ კაცობრიობას!

ლოგოსის სამშობლო ინდოეთია. 'პირველად იყო სიტყვა' – ეს აბრამისა და იაკობის შთამომავლობას არ ეკუთვნის. იგი პირველად ითქვა ინდოეთში".

სამწუხაროდ ეს ესეები არ დაწერილა. დაგვრჩა მხოლოდ 'საკია-მუნი' და კრიშნა", რომელიც ბატონმა ერეკლემ ახალგაზრდობაში გამოაქვეყნა, როცა ჯერ კიდევ არ იყო მთლად შეკეტილი საკუთარ თავში. თუმცა ვინ იცის პავლე ინგოროყვას მეცადინეობა რომ არა, შეიძლება არც 'საკია-მუნს' ეწერა შექმნა.

\*\*\*

ერეკლე ტატიშვილის ყოველ ესეში იშვიათი მოქართულე მოჩანს, უბადლო სტილისტი. ფრაზა უკიდურესად ექსპრესიულია, ლაღი და ტევადი. ამბობენ, რომ სტილში ყველაზე უკეთ მჟღავნდება ადამიანის ხასიათი და ეს ნაწერებიც მათი ავტორის პიროვნულ ბუნებას გვიმხელს: დახვეწილსა და შემართულს, ამაღლებულს, მაგრამ არა მანერულს (საერთოდ ყველაფერი მანერული და ღვარჭნილი ეჯავრებოდა ხელოვნებაშიც და ცხოვრებაშიც, პოზა იქნებოდა თუ სტილი. 'Слащавый стиль, разве это стиль?!' – იტყოდა ხოლმე, როცა ოსკარ უაილდის 'სალომეას' შეუქებდნენ).

ეს ხასიათი გამოკრთის მისი კალიგრაფიიდანაც. დახვეწილი ქართული ასოები ეცემა ადამიანს თვალში, თამამი და თავისებური ხელწერით გამოყვანილი გრძელი და სწორი ასოები. წლებთან ერთად ასოები სულ უფრო ემსგავსებიან ლურსმულს. ხანდახან გეგონება, რომ მხოლოდ თავისთვის წერდა...

ყოველდღიურ ცხოვრებაში მინიმალურ კეთილდღეობას მოკლებული და არმადიებელი, წერისას იჩენდა განსაცვიფრებელ ესთეტიკობას. ძალიან ჰყვარებია კარგი მუდმივი კალამი, კარგი ფურცელი (და ეს მაშინ, როცა მის სენაკში, როგორც ნოდარ კაკაბაძე იგონებს, მატერიალური სიღატაკე სუფევდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით), შინ მუშაობისას კი მხოლოდ კალისტრატე ცინცაძის ნაჩუქარი კალმისტრით წერდა; კალმისტარი ვერცხლისაა, წარწერით: კათოლიკოს-პატრიარქისაგან.

ის მცირედი თარგმანები, რომელიც ხელთა გვაქვს, ადამიანს განაცვიფრებს სტილური მრავალფეროვნებით. ისეთი მკაფიოდ გამოხატული ხელწერის მქონე

მთარგმნელისათვის, როგორც ბატონი ერეკლე გახლდათ, თითქოს ადვილად უნდა შექმნილიყო საფრთხე თარგმნისას მწერლისათვის უნებლიედ საკუთარი წერის მანერა მოეხვია თავს. ამ თარგმანთა უბრალო გადახედვაც კი დაგვარწმუნებს ამგვარი შიშის უსაფუძვლობაში: ყოველ მათგანში განსხვავებული ინტონაციაა დაჭერილი და აჟღერებული.

ერეკლე ტატიშვილის თარგმანთა შორის განსაკუთრებული მაინც ედგარ პოს 'სიჩუმეა'. ვფიქრობ, აქ იმ ბედნიერ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ამა თუ იმ მწერლის მიერ შექმნილი ნაწარმოები თითქოს ემთხვევა მთარგმნელის სულსა და გონებაში აღმოცენებულ განსჯათ, ფიქრთა თუ განწყობილებათ, და არა მხოლოდ აზრობრივ დონეზე, არამედ, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ენობრივი თვალსაზრისით, ამგვარი თარგმანი ერთი რომ უნებლიედ მთარგმნელის პიროვნებას ამჟღავნებს და მეორეც იგი გაცილებით უფრო 'ჰგავს' ორიგინალს, ვიდრე რომელიმე სხვა თარგმანი, რადგან მასში ორიგინალის ნიუანსები და სიღრმისეული შრეები ახლებურად იკითხება.

აი, როგორც ჟღერს 'სიჩუმის' ერთი ფრაგმენტი ქართულად:

*...მაშინ განვრისხდი და დავსწყევლე სიჩუმის შეჩვენებით მდინარე და შრომანი, ქარი და ტყე, ცა და ქუხილი და წყლის შრომანთა ოხვრა და შეშინებულნი გაჩუმდნენ. და მთვარემ შესწყვიტა სრბოლა ცის ბილიკზე – და ელვა აღარ ელვარებდა – და ღრუბლები უძრავად დაეკიდნენ და მდინარე დადგა თავის დონეზე და შეჩერდა – და ხეები აღარ ჰქანაობდნენ – და წყლის შრომანნი აღარ ირხეოდნენ და მათ შორის ჩურჩული აღარ გაისმოდა, აღარც აჩრდილი ხმაურობისა უზღვარს უდაბნოში. და მე დავაცქერდი კლდეს ქვის წარწერას და ის შეცვლილიყო; და წარწერა იყო სიჩუმე.*

*და დავაცქერდი ადამიანის სახეს და მისი სახე შიშით გაფითრებულიყო. უეცრივ თავი მოაშორა ხელს და ზეზე წამოდგა და წარწერა კლდეზე იყო სიჩუმე. და ადამიანს გააჟრჟოლა და უკუ იქცა საჩქაროდ და მე თვალი აღარ მომიკრავს.*

კიდევ ერთ ფრაგმენტს მოვიტანთ ერეკლე ტატიშვილისეული თარგმანიდან, ამჯერად ზარატუსტრას მიმართვას თავისი მოწაფეებისადმი:

*ჯერ თავი არ მოგეძებნათ და მხოვეთ მე. აწ მოგიწოდებთ, მე დამკარგოთ და თქვენი თავი ჰპოვოთ; და ოდეს ყველა უარმყოფთ, კვლავ მოვალთ თქვენთან. ჭემმარიტად, ძმანო, სხვა თვალით მოგძებნით მაშინ ჩემს მიერ დაკარგულთ და სხვა სიყვარულით შეგიყვარებთ. ოდესმე კვლავ ჩემი მეგობრები შეიქმნებით და ერთის იმედის შვილნი; მაშინ მოვალ მესამედ, რათა თქვენთან ერთად ვიზიემო დიდი შუადღე.*

მახსოვს, სწორედ ამ ფრაგმენტის ამოწერა მთხოვა ბატონი ერეკლეს ხელნაწერიდან მიხეილ კვესელავამ: 'პოეტური ინტეგრალისათვის' სჭირდებოდა. იშვიათი დაკვირვებული თვალი ჰქონდა ბატონ მიხეილს – ფრაგმენტი ჩაიკითხა თუ არა მითხრა: ეტყობა ვერ მოასწრო მუშაობის დამთავრება.

ბატონი ერეკლე ისეთი სტილისტი იყო, ოდნავ მოუქნელი ფრაზაც არსად გაეპარებოდაო.

ხელნაწერზე მუშაობა მართლაც დაუმთავრებელია. ხშირად რამდენიმე სინონიმია ერთმანეთის თავზე დაწერილი, ზოგან ტექსტში გერმანულ სიტყვასაც წააწყდებით. ალბათ ქართული შესატყვისი უცხად ვერ მოარგო, მეორედ მიბრუნება კი აღარ დასცალდა.

მაგრამ თუნდაც ამ ფორმით თარგმანი განსაცვიფრებელ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან დაჭერილია ის, რაც უმთავრესია: ტონი მთელი ნაწარმოებისა, ოდნავ ზეაწეული და შთაგონებული, თარგმანის ქართულს კი ბიბლიური სურნელი ახლავს.

ეს წიგნი მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და შეიძლება ითქვას, რომ მის ბედიწერადაც იქცა.

\*\*\*

წიგნებსაც თავისი ბედი აქვთო, ნათქვამია.

თარგმანსაც, ცხადია.

ამ შემთხვევაში, ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ შემთხვევაში, გამორჩეულად ტრაგიკული ბედი დაჰყვა წიგნსაც და მის ავტორსაც, თარგმანსაც და მთარგმნელსაც. ეს წიგნი, რომელიც ნიცშეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „ადამიანს თავისი სისხლით დაუწერია“, ასევე ითარგმნა ქართულად და მისი მთარგმნელის - ერეკლე ტატიშვილის - ბედისწერად იქცა.

ერეკლე ტატიშვილი ცნობილი ქართველი სწავლული, პოლიგლოტი, საერთაშორისო სამართლის, დიპლომატიის ისტორიის და დასავლეთევროპული ლიტერატურის უზადლი მცოდნე იყო. ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში იგი საერთაშორისო სამართალსა და დიპლომატიის ისტორიას ასწავლიდა. შემდგომ კი უცხო ენათა კათედრის დამაარსებელი და მისი პირველი გამგე იყო. სწორედ მის სახელს უკავშირდება ქართულ ენაზე ამ თხზულების თარგმნა.

ერეკლე ტატიშვილის დაინტერესება ნიცშეს ფილოსოფიით ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან დაიწყო, როდესაც იგი ლაიპციგის უნივერსიტეტში ფილოსოფიას შეისწავლიდა. თარგმანი გასული საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა, თუმცა ისტორიული გარემოებების გამო მის დაბეჭდვამდე ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. „ზარატუსტრას“ თარგმნა იყო ჭიდილი არა მხოლოდ სიტყვასთან, არამედ - დროსთანაც, რადგან მაშინ იმაზე ფიქრიც კი, რომ თარგმანი ოდესმე დაიბეჭდებოდა, შეუძლებელი იყო. ვფიქრობ, რომ ამას ერეკლე ტატიშვილისთვის არც ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. თარგმნა მის შინაგან მოთხოვნილებას წარმოადგენდა და მისი გამოქვეყნება ან გამოუქვეყნებლობა მხოლოდ ტექნიკურ მხარედ ეჩვენებოდა. ეს არ იყო ინტელექტუალური სნობიზმი, არამედ ღრმა რწმენა იმისა, რომ ყველა მნიშვნელოვანი თარგმანი უკვე თავისი არსებობით (დასტამბვის ფაქტისაგან დამოუკიდებლად) ერის სულიერ კულტურას ამდიდრებს. ჯერ ერთი იმით, რომ ამა თუ იმ მნიშვნელოვან ნაწარმოებს გვაცნობს და ამით თვალსაწიერს გვიფართოებს, მაგრამ უპირატესად იმიტომ, რომ თავად ქართული ენისათვის არის

მნიშვნელოვანი, რადგან მასში ენის შესაძლებლობების ახალი ნიუანსები ვითარდება და ახალი სიღრმისეული შრეები გამომჟღავნდება.

თუმცა თარგმანის დაუბეჭდაობა რა გასაკვირია სტალინის ეპოქაში, როდესაც თავის დროზე ნიცშესაც ასე გაუჭირდა ამ ნაწარმოების დაბეჭდვა. რა თქმა უნდა, თარგმანისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში იდეოლოგიური წნეხი არაფერ შუაში იყო. ნიცშეს გამომცემელი უბრალოდ მიხვდა, რომ „ზარატუსტრას“ ბეჭდვა ფინანსურად არ იყო მომგებიანი და მეოთხე წიგნის დაბეჭდვაზე უარი განაცხადა. ნიცშემ საკუთარი ხარჯით დაბეჭდა ორმოცი ეგზემპლარი და მეგობრებს დაუგზავნა. შემდგომში ნიცშეს ბიოგრაფებმა საგულდაგულოდ აღწერეს მისი ადრესატები და მწარედ შენიშნეს, რომ არცერთს არ წაუკითხავს წიგნი მთლიანად.

ამ მხრივ თარგმანი ბევრად უფრო იღბლიანი აღმოჩნდა. ერეკლე ტატიშვილის ნამოწაფრებს მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე ათწლეულის შემდეგაც ზეპირად ახსოვდათ ბევრი ფრაგმენტი, რომელიც აზრის სიღრმითა და ფორმის მშვენიერებით წარუხოცავ შთაბეჭდილებას ახდენს:

*მაშ მაკურთხე შენ, თვალო წყნარო, უშურველად რომ უმზერ თვით უსაზღვრო ბედნიერებას. დალოცე სასმისი განმზადებული დასათხევად, რათა წყალი ოქროთი მდინარეებდეს და წარიტანოს ყველგან ბრწყინვა ნეტარებისა შენისა.*

ანდა:

*ყოველი დიდი გზად იქცევს ბაზარსა და დიდებას; ბაზრისა და დიდების მოშორებით სცხოვრობდნენ დასაბამით ახალ ღირებულებათა მქმედნი. შენს მარტოობას მიაშურე, მეგობარო.*

ასეთ „დიდ მარტოობაში“ ითარგმნებოდა „ზარატუსტრა“. ეს განწყობა თავად ხელნაწერიდანაც გამოსჭვივის: წლებთან ერთად ასოები სულ უფრო ემსგავსებიან ლურსმნულს; ზოგჯერ გეგონება, რომ მხოლოდ თავისთვის წერდა.

„ზარატუსტრას“ თარგმნა დროსთან ჭიდილი იყო, ვთქვი. სახიფათო ჭიდილი, რადგან ეს თარგმანი და ზოგადად ნიცშეს ფილოსოფიით გატაცება იქცა ერეკლე ტატიშვილის დაპატიმრების საბაბად. ნიცშეს ფილოსოფიას ხომ საბჭოთა იდეოლოგია ფაშიზმთან აიგივებდა. რა თქმა უნდა, იმასაც გაუხსენებდნენ, რომ 1919-21 წლებში თავისუფალი საქართველოს საგარეო საქმეთა პოლიტიკური განყოფილების გამგე იყო. იმასაც, რომ სხვადასხვა დროს რეპრესირებულთა და შეთქმულთა შორის ბევრი მისი ნამოწაფარი იყო; იმასაც, რომ დიდხანს ცხოვრობდა და სწავლობდა საზღვარგარეთ...

„ზარატუსტრას“ თარგმნას წინ უსწრებდა ერეკლე ტატიშვილის მიერ ჟურნალ „ალიონში“ (რედ. კონსტანტინე გამსახურდია) 1922 წელს გამოქვეყნებული ესე. გასაბჭოებულ საქართველოში 20-იანი წლების დასაწყისში ჯერ კიდევ არსებობდნენ დამოუკიდებელი ჟურნალ-გაზეთები და ამდენად მეტ-ნაკლებად შემოქმედებითი თავისუფლებაც. უთუოდ ამით აიხსნება, რომ ერეკლე ტატიშვილი ჯერ მთლად არ შეკეტილიყო თავის თავში: იყო ქართველ მწერალთა აკადემიური

ასოციაციის წევრი და იბეჭდებოდა მათ ჟურნალ-გაზეთებში: „კავკასიონი“, „ქართული სიტყვა“, „საქართველოს სამრეკლო“ და სხვ.

ჟურნალ „ილიონში“ გამოქვეყნებული ეს ესე არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით არის საინტერესო, რომ ავტორის თვალსაზრისს გვაცნობს ნიცშეს ფილოსოფიაზე, არამედ იმიტაც, რომ მასში ჩართულია საკმაოდ დიდი მონაკვეთები „ზარატუსტრადან“, რომელთა შედარება 15-20 წლის შემდეგ დასრულებულ თარგმანთან ბევრ საინტერესო ნიუანსს წარმოაჩენს მთარგმნელობითი ოსტატობის კუთხით. ამგვარი შედარება მით უფრო მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხელნაწერის ვარიანტები თითქმის არ არსებობს. შესაძლოა არ შემოგვრჩა, ან სულაც არ შექმნილა. მე ეს ბოლო ვარაუდი უფრო სარწმუნო მგონია. ამას ის მაფიქრებინებს, რომ მხოლოდ პირველი გვერდების რამდენიმე ვარიანტი არსებობს, რომელთაც ნასწორებს ვერ დავარქმევთ: არსებითად ეს ერთი და იგივე ტექსტის სხვადასხვა სტილითა და რიტმით გაკეთებული თარგმანებია. საფიქრებელია, რომ ეს იყო ძიების პროცესი. ხოლო როდესაც შესაფერისი ინტონაცია და სტილი მიგნებული იყო, მთელი თარგმანი სწორედ ამან წარმართა. ამით აიხსნება, რომ ხელნაწერი თითქმის არ არის ნასწორები. არსებული ჩასწორებები მხოლოდ ლექსიკურ დონეზეა: აქა-იქ სიტყვებს ვარიანტები აქვს მიწერილი, აქა-იქ გერმანულ სიტყვას წავაწყდებით - ეტყობა შესატყვისი უცბად ვერ მოარგო და მიბრუნება აღარ დასცალდა. ხოლო სტილისტური ან სინტაქსური ჩასწორებები ხელნაწერში პრაქტიკულად არ არსებობს.

ამიტომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ილიონში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ჩართული ფრაგმენტები კარგ მასალს იძლევა შედარებითი ანალიზისთვის. აი, ერთერთი ფრაგმენტი ზარატუსტრას სიტყვანიდან:

*თქვენ განვლეთ გზა ჭიანჭველიდან ადამიანამდე და ბევრი თქვენთაგანი ჯერ კიდევ მატლია... ერთ დროს ღმერთის შეგინება უსაშინლესი გინება იყო, მაგრამ ღმერთი მოკვდა და მას თან გადაჰყვანენ მისი მაგინებელნიც. გაფიცებთ, ძმანო. იყვნეთ ერთგულნი ამა სოფლისა და არ დაუჯეროთ მათ, ვინც საიქიო იმედებზე გელაპარაკებიან... მე თქვენ გასწავლით ღმერთკაცს.*

თარგმანში იგივე პასაჟმა ასეთი სახე მიიღო:

*განვლეთ გზა მატლით ადამიანამდე და ბევრი თქვენს შორის მატლურია. ოდესღაც ღვთის გმობა უდიდესი გმობა იყო, ხოლო ღმერთი მოკვდა და მასთან მისი მაგინებელნიც.*

*გაფიცებთ, ძმებო, იყავნეთ ერთგულნი მიწისა და არ უჯერიდეთ, რომელნი საიქიოთი გაიმედებენ. ხედავთ, გასწავით ზეკაცს.*

ამ ორ ვარიანტს შორის არსებითი სხვაობაა: პირველს ჯერ არ აქვს გამოკვეთილი სტილი, რიტმი. მეორე ვარიანტში ფრაზა დაიხვეწა, გაჩნდა ზომიერი

სტილიზირება არქაული სურნელის მისაღწევად. მაგ. „გასწავლით” ჩაანაცვლა .სიტყვამ „გასწავით”, რომელიც ძველ ქართულში „მოძღვრას” ნიშნავდა ამდენად არა მხოლოდ სტილურად, არამედ აზრობრივადაც უკეთ მოერგო კონტექსტს. წინადადების ხერხემლად ზმნა იქცა და შთამბეჭდავად გამოვლინდა ქართული ზმნის უძირო შესაძლებლობები. სტილიზაციაც ძირითადად ზმნის ფორმებით მიიღწევა (მაგ. იყავნეთ, არ უჯერიდეთ) და არა ლექსიკური არქაიზმებით, რომელიც მხოლოდ აქა-იქ თუ გამოერევა მთელ თარგმანში.

აქვე შევნიშნავ ერთ ტენდენციას, რომელიც მთლიანი თარგმანის ერთერთ უმნიშვნელოვანეს სტილურ თავისებურებას წარმოადგენს: მთარგმნელი უპირატესობას სიტყვის ძირს ანიჭებს და მაქსიმალურად ცდილობს აფიქსების გამოყენებას თავი აარიდოს. ეს კი მთლიანობაში ტესტს ერთგვარ „ალესილობას” და მძაფრ ექსპრესიულობას ანიჭებს.

„ზარატუსტრას” თარგმნას ტექსტის თავისებურებებიდან გამოდინარე მრავალი სირთულე ახლავს. ცნობილია, რომ ნიცშე წიგნის გამომცემლისადმი მიწერილ წერილში (1882 წ.) ასე ახასიათებდა თავისი ნაწარმოების ფორმას: „ეს ან პოეზიაა, ან მეხუთე სახარება, ან კიდევ რაღაც სხვა, რასაც სახელი არ გააჩნია.” ეს თავისებური ფორმა, ფილოსოფიური ნააზრევის ხატოვან, იგავურ ფორმაში მოქცევა და ცალკეული პასაჟების გააზრებულად სახარებაზე მოდელირება (როგორცაა მაგ. „ვირის ზეიმის ეპიზოდი”, სადაც საიდუმლო სერობის პაროდირებას აქვს ადგილი) უპირველეს ყოვლისა ნაწარმოების ენობრივ ქსოვილში ვლინდება. ამიტომ ერთნაირად მნიშვნელოვანია აზრის სიზუსტე და ფორმის შთამბეჭდაობა, დედნის რიტმისა და ინტონაციის ღრმად გააზრება და მისი შესატყვისი ტექსტის შექმნა ქართულად, რაც ამ თარგმანში უპირატესად ფრაზის სტრუქტურით მიიღწევა.

„ჩემი სტილი ცეკვას წააგავს. მე თავისუფლად ვთამაშობ სიტყვებით” - წერდა ნიცშე. თარგმანსაც უნდა შეენარჩუნებინა ეს გამორჩეულობა, სტილის ინდივიდუალურობა. (თუმცა, არა მანერულობა), რომელიც მისაღწევად მთარგმნელის მიერ გარკვეული კონკრეტული ხერხებია გამოყენებული (რიტმი, სიტყვათქმნადობა, ალიტერაცია, ზომიერი არქაიზაცია, ნორმატიული სინტაქსიდან გადახვევა და სხვ.).

მთარგმნელის ვირტუოზული ტექნიკა ხან ალიტერაციული მიგნებებით გვაოცებს („აწ მაწვალეხს წყურვილი”, „უხმოდ ვაბიჯებდი კაჭარის ჭოჭყის დამცინავ ხმაურობას”), ხან ახლადშექმნილი კომპოზიტებით (გულისთხოვა/გულისთხრობდა). თარგმანი ქართულად იმდენად ბუნებრივად ჟღერს, შეიძლება თავისუფალ თარგმანად მოეჩვენოს ადამიანს. ცალკეული ადგილების დედანთან შედარება ცხადყოფს, რომ თარგმანი ზედმიწევნით მიჰყვება დედანს, ხოლო ეს ენობრივი თავისუფლება და ბუნებრიობა ორივე ენის უზადო ფლობიდან მომდინარეობს.

ადექვატური ფორმის შექმნასთან ერთად, ფილოსოფიური თხზულების თარგმნა რომ მთარგმნელისგან გარკვეულ მომზადებას მოითხოვს, ამას, საფიქრებელია, რომ მტკიცება არ სჭირდება. თუკი, მთარგმნელი კარგად არ არის ჩახედული იმ ნაწარმოების არსში, რასაც თარგმნის, ძნელი წარმოსადგენია, რომ ენის კარგად ცოდნა იკმარებს, ტექსტის მიმღებ ენაზე გადმოტანისთვის. „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ ქართული თარგმანი ამ თვალსაზრისითაც ზედმიწევნით სანიმუშოა და ტერმინოლოგიური სიზუსტით გამოირჩევა. ნიშანდობლივია, რომ თამაზ ბუაჩიძეს ტექსტის რედაქტირებისას თითქმის არ დასჭირვებია ტერმინების დაზუსტება-კომენტირება. თუმც ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ერეკლე ტატიშვილი 1904-6 წლებში ლაიფციგის უნივერსიტეტში სწავლობდა ფილოსოფიას და ბუნებრივია, რომ გერმანულ ფილოსოფიას კარგად იცნობდა. ქართული ფილოსოფიური აზროვნება, მისი დიდი ტრადიციის მიუხედავად, გაწყვეტილიყო და მის აღორძინებაში ორიგინალურ თხზულებებთან ერთად მთარგმნელობით საქმიანობასაც უნდა ეთამაშა თავისი როლი.

„ზარატუსტრას“ თარგმანი ხშირად ტექსტის კომენტირებად იქცევა ხოლმე (შემთხვევით ხომ არ ნიშნავდა „თარგმანება“ ტექსტის „განმარტება-კომენტირებას“). ასე მაგ., „ჰე, სულო, ყოველი მზე დავღვარე შენ ზედა და ყოველი ღამე და ყოველი სიჩუმე და ყოველი სევდა.“ ხელნაწერში „მზეს“ თავზე „ნათელი“ აწერია. თუმცა არც მზეა გადაშლილი. ეტყობა ბოლომდე არ იყო დარწმუნებული რომლის დატოვება სჯობდა. დედანშია სიტყვა 'sonne' (გერმ. მზე) და თითქოს საჭოჭმანო რა უნდა ყოფილიყო. მაგრამ მაინც თითქოს ეჭვობს, რომ „ნათელი დავღვარე“ შესაძლოა უფრო ზუსტად გამოხატავს იმ ნიუანსს, რომ „მზე“ ამ კონტექსტში „ნათელის“, „მადლის“ გამომსახველია.

როგორც უკვე აღვნიშნე, ნიცშე „ზარატუსტრას“ მეხუთე სახარებას უწოდებდა. მართლაც ეს წიგნი, რომელიც ქრისტიანობის უარყოფად და კრიტიკად იყო ჩაფიქრებული, ბევრგან სახარების ასოციაციას იწვევს. „ანტიქრისტიანის“ მამა პასტორი იყო. თავადაც პფორტას (Schulpforta) სასწავლებელში სწავლობდა ღვთისმეტყველებას, სადაც ნიცშემდე ბევრი ცნობილი ადამიანი აღიზარდა: ნოვალისი, ფიხტე, ძმები შლეგელები... ერთ ხანს, ბონის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ნიცშე იმასაც კი აპირებდა, რომ სასულიერო კარიერას გაჰყოლოდა. ასე, რომ დაკარგული რწმენისა და მეამბოხე გონის უკან იდგა ის თეოლოგიური შტუდიები და თეოლოგიური ლიტერატურა, რომელზეც ნიცშე გაიზარდა და რომელიც მისთვის ერთსა და იმავე დროს ძალიან საყვარელიც იყო და საძულველიც.

ერეკლე ტატიშვილიც სასულიერო პირის ოჯახში გაიზარდა. დაწყებითი განათლებაც გორის სასულიერო სემინარიაში მიიღო. ამიტომ მისთვისაც სახარება ის წიგნი იყო, რომელზეც იგი გაიზარდა და რომლის ტექსტებზე ჩამოყალიბდა მისი მხატვრული და ენობრივი სამყარო. შემდგომ მოსული სკეფსისი და განდგომა

ვერ წაშლის იმ მძაფრ შთაბეჭდილებებს, რაც სიყრმეში ჩაინერგა. ამიტომ სტილისტურადაც ნიცმეს ენობრივი სამყარო ძვირფასი და მშობლიური იქნებოდა ერეკლე ტატიშვილისთვის და ნიცმეს „მეხუთე სახარებისათვის“ დამახასიათებელი სახარების მძაფრი სურნელი იგრძნობა მთელ თარგმანში. მაგ.: „სრულ იყვნეთ“. „ვით ნაწილი თანამდები ჩემი“ და სხვ.

ეს თარგმანი კიდევ ერთი რამით არის მნიშვნელოვანი. ერეკლე ტატიშვილს ღრმად სწამდა, რომ სხვადასხვა რელიგიები ერთმანეთს მხოლოდ ზედაპირული ატრიბუტებით უარყოფს, მათში გაბნეული საკრალური ცოდნა კი - ერთმანეთს ავსებს. ეს აზრი გასდევს მის ესეებს ინდურ ფილოსოფიაზე - „საკია-მუნი“ და „კრიშნა“. ვფიქრობ, რომ „ზარატუსტრას“ თარგმნა ამ ძიებების კანონზომიერ გაგრძელებას წარმოადგენს.

უთუოდ ისიც კანონზომიერია, რომ „ზარატუსტრას“ თარგმანი გადარჩა. ერეკლე ტატიშვილის დაპატიმრებისას მის ხელნაწერთა ნაწილი თან წაუღიათ, ნაწილიც იქვე ეზოში დაუწვავთ. ისე, განურჩევლად, თორემ ოსკარ უაილდის „ლედი უინდერმერის მარაო“ რა საფრთხეს წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლებისთვის მხოლოდ ბოლო გვერდი რომ შემოგვრჩენია ერეკლე ტატიშვილის არქივში, როგორც დასტური მაშინდელი განუკითხაობისა...

„ზარატუსტრას“ ხელნაწერი მაინც გადარჩა და მრავალი წლის შემდეგ წიგნადაც დაისტამბა. ალბათ არ შეიძლებოდა დაკარგულიყო ის, რასაც ადამიანმა სიცოცხლე შეაღია.

„ესე იტყოდა ზარატუსტრას“ თარგმანი მთარგმნელის ბედისწერად იქცა, რადგან წიგნი საბჭოთა სინამდვილისათვის მიუღებელი იყო არა მხოლოდ იდეოლოგიური, პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ მხატვრულ-ესთეტიური, პოეტიკური თვალსაზრისითაც, რომელიც შორს იყო საბჭოთა სინამდვილეში გაბატონებული სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკისგან.

\*\*\*

ერეკლე ტატიშვილის პირად არქივში, რომელიც ახლა ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, ბევრი ფრაგმენტული ხელნაწერია: თარგმანთა ცალკეული გვერდები (მათ შორის პოს `შავი კატა", ტომას მორის `უტოპია"), საერთაშორისო სამართლისა და ინგლისური ლიტერატურის ისტორიის ლექციათა კონსპექტები, მის მოწაფეთა წერილები და თარგმანები, აურაცხელი ჩანაწერები: სიტყვები, ფრაზები... სულისშემძვრელია ის სიყვარული ბატონი ერეკლესი სიტყვისადმი, რომელიც ამ გაცრეცილი ფურცლებიდან გამოსჭვივის.

ამ ხელნაწერთა გაცნობა კიდევ ერთ გრძნობას აღძრავს მკითხველში: თითქოს საერთოდ არ უყვარდა, უჭირდა თავი ნაწერთა დასრულება, ხელიდან გაშვება. ხოლო ეს დაუმთავრებელი, ფრაგმენტული ჩანაწერები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ და უნებლიედ მაგონებენ ჯორჯო ვაზარის სიტყვებს მიქელანჯელოზე: `მას ჰქონდა ისეთი მძაფრი და ისეთი სრულყოფილი წარმოსახვა

და ყველაფერი, რაც მას ესახებოდა იდეაში, ისე დიადი იყო, რომ კაცის ხელს არ შეეძლო ესოდენ შემადრწუნებლად გრანდიოზული შთანაფიქრის ხორცშესხმა და ის ხშირად დაუმთავრებელს ტოვებდა თავის ქმნილებებს" (თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა).

ამით თუ აიხსნება, რომ თითოეუჩამოსათვლელი ნაშრომი დაგვრჩა ერეკლე ტატიშვილისა: ზემოთხსენებული რამდენიმე ესე და თარგმანი. ბევრმა ალბათ არც იცის, რომ მისი ბჭკარედებით თარგმნეს ედგარ პოს `ყორანი" კონსტანტინე ჭიჭინაძემ, ჰაინეს ლექსები – ხარიტონ ვარდოშვილმა, შექსპირის `მეთორმეტე ღამე" სიკო ფაშალიშვილმა. რეჟისორ გიორგი ჟურულის თხოვნით უთარგმნია შილერის `ვერაგობა და სიყვარული". მაგრამ ეს თარგმანი დაიკარგა და ბატონი ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ მისმა მოწაფემ დავით ლაშქარაძემ მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმში შემორჩენილი სარეჟისორო სცენარის მიხედვით აღადგინა და გამოაქვეყნა ეს პიესა. ლიტერატურის მუზეუმის დაკვეთით უთარგმნია ლაიელის საქართველოში მოგზაურობა გრიბოედოვთან ერთად. ამჟამად ეს თარგმანი ამავე მუზეუმში ინახება. ხელნაწერის სახით დარჩა ბერნარდ შოუს `კეისარი და კლეოპატრა". ბატონი ერეკლეს მოწაფეებს ახსოვთ, როგორ თარგმნიდა იგი დარვინის `სახეობათა წარმოშობას". ეს თარგმანი ჩაუბარებია კიდევ გამომცემლობისათვის, სადაც იგი დაკარგულა (ხელნაწერებში კი მხოლოდ სამუშაო პირია შემორჩენილი და ისიც არასრული სახით). ბატონი ერეკლეს ავტობიოგრაფიიდან ვიცით, რომ შესრულებული ჰქონია ნაშრომები: `მონროს დოქტრინა" და `ოსმალეთის პოლიტიკური ძლიერება და დაქვეითება". სხვათაშორის ერთი პატარა წერილი საერთაშორისო თემაზე გაზეთ `საქართველოს სამრეკლოშია" გამოქვეყნებული სათაურით `პარიზის კონფერენცია". ეს არის და ეს...

ბატონ ერეკლეს ხშირად საყვედურობდნენ: ცოტას წერო. სწორედ ამიტომ იყო, რომ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე ერთ-ერთმა მისმა მოწაფემ მიხეილ კვესელავამ ასე თქვა: ამბობენ, წიგნები არ დარჩენია ბატონ ერეკლეს. მაგრამ განა მისი მოწაფეები მისი ხელით დაწერილი წიგნები არ არიან?!

\*\*\*

თებერვლის პირველი იყო რომ მიიცვალა ბატონი ერეკლე. სუსხიანი, თოვლიანი თებერვლის პირველი. მისმა მოწაფეებმა გაუთლელი ლოდი დაადეს მის სამარეს. ეს ლოდი ტკივილია, დიდი და მართალი.

ხეთა ჩრდილი და გაუთლელი ლოდი უბრალო წარწერით:

ერეკლე ტატიშვილი

1884-1946

#### დამოწმებანი:

ნიცშე, ფ. (1993). ესე იტყოდა ზარატუსტრა: წიგნი ყველასათვის და არავისთვის. გერმანულიდან თარგმნა ერეკლე ტატიშვილმა. რედ. თამაზ ბუაჩიძე, როსტომ ჩხეიძე. თბილისი: ფილოსოფიური ბიბლიოთეკა.

ტატიშვილი, ე. (1922). ფრიდრიკ ნიცშე. ჟურნალი „ილიონი“: პოეზია, ესთეტიკა, კრიტიკა: ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი. 1922. N 3. რედაქტორი კ. გამსახურდია ; გამომცემელი: "ილიონის" მწერალთა ჯგუფის პრეზიდიუმი (არისტო ჭუმბაძე და სხვანი). თბილისი.